

უნივერსიტეტების შესახებ

გაზეთი “კვირის ქრონიკა” – 10-16 ივნისი, № 23, 2013

აღბათ გახსოვთ, როგორ იწონებდა მავანთა მიერ დაწერილ კონცეფციებს მიხეილ სააკაშვილი ვარდების რევოლუციის გარიჟრაჟზე და ახლა იმასაც ხედავთ, როგორი აღფრთოვანებულია ბატონი ბიძინა ივანიშვილი ასევე მავანთა მიერ დაწერილი კონცეფციებით. სწორედ ამაზეა ნათქვამი: ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ბრალი მაყურებელსო. ბოლოს და ბოლოს, რას იღებს ჩვენი საზოგადოება ამ უცნაური პიარ-კამპანიებით? „ქრონიკის“ შეკითხვებს ამჯერად აკადემიკოსი ლადო პაპავა პასუხობს.

– ბატონო ლადო, „ქრონიკის“ წინა ნომერში გამოქვეყნდა „ქართული აკადემიის“ ლიდერის, აკადემიკოს თემურ ნანეიშვილის ინტერვიუ, სადაც მოურიდელად აკრიტიკებდა დღევანდელ მთავრობას მეცნიერებისა და განათლების სფეროებისადმი უყურადღებობაში. რას იტყვით, მართლა ასეა საქმე?

– უმაღლესი განათლების ფსევდორეფორმატორული ყველა მოდელი, რაც აქამდე საქართველოში დანერგეს ან აპრიებენ დანერგვას, შეცდომაზეა დაფუძნებული. ლომაიას მოდელი ეფუძნებოდა პრინციპს – მთავარი უნივერსიტეტში არის სტუდენტი. ამან რაც მოგვიტანა, კარგად ვიცით. შემდეგ გაჩნდა სააკაშვილის განცხადება ჩარეცხვასთან დაკავშირებით და ეგრევე ჩარეცხეს პროფესურა. 2012 წლის არჩევნების შემდეგ, ხელისუფლებაში მოვიდა „ქართული ოცნება“, ყველას იმედი გვქონდა, რომ განათლების სისტემას პატრონი გამოუჩნდებოდა, მაგრამ სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. პრემიერ-მინისტრმა ცნობილ ქართველ ფიზიკოსს, საზღვარგარეთ მოღვაწე გია დვალს დაავალა, დაეწერა კონცეფცია, მაგრამ აღმოჩნდით ძალიან უცნაურ სიტუაციაში: ჯერ ერთი, თუ ქვეყანაში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არსებობს, მაშინ ბატონი გია ან მინისტრად უნდა დაენიშნა, ან მის მოადგილედ და ისე დაევალებინა. როგორ შეიძლება, კონცეფცია იწერებოდეს სამინისტროს მიღმა? მეტიც, ივანიშვილს

არავითარი ნორმატიული აქტი არ გამოუცია, რომლის საფუძველზეც დააფუძნებდა კომისიას, განსაზღვრავდა მის შემადგენლობას და მისცემდა დავალებას. საერთოდ არ არსებობს რაიმე ნორმატიული აქტი, ზეპირსიტყვიერი განცხადებებით მხოლოდ მეფეები მართავდნენ თავიანთ ქვეყნებს. დამთავრდა ეს დრო, ბიუროკრატიას თავის პროცედურები აქვს...

– ეს ყველაფერი იმას მაგონებს, ქუჩაში კაცი რომ შეგხვდება, დაგიწყებს რაღაცაზე ლაპარაკს და შენ ეტყვი, – არ მცალია, გენაცვალე, დაწერე და მომიტანო.

– აი, დაახლოებით ასეთი სიტუაციაა. დოკუმენტი, რომელიც შექმნა ცნობილმა ფიზიკოსმა, ეს ოფიციალურად დამტკიცებული არ არის. სამი ტექსტი შეიქმნა და ერთ-ერთში ასეთი რამ წერია, – თურმე ეს განათლების და მეცნიერების რეფორმიდ კომისია კი არა, განათლებისა და მეცნიერების რეფორმის კომისიის საინიციატივო ჯგუფი ყოფილა. გამოდის, ეს ადამიანები არიან მხოლოდ საინიციატივო ჯგუფის წევრები. თუმცა ამ ჯგუფის მდგომარეობაც გაურკვეველია. კარგით, გვერდზე გადავლოთ ყველა პრობლემა, თავი დავანებოთ იმას, რომ ტექსტი ძალიან ცუდი ქართულით არის დაწერილი. ამ ჯგუფის ერთ-ერთ წევრს მორალური უფლებაც არა აქვს, მონაწილეობა მიეღო ამ საქმეში. მოგვიანებით, ამ ადამიანზეც ვისაუბრებთ. დვალის მიერ დაწერილი კონცეფცია ისეთივე მცდარ მოდელზეა აგებული, როგორც იყო ალექსანდრე ლომაიას ხედვა. ლომაიასთვის მთავარი იყო სტუდენტი, დვალისთვის მთავარია პროფესორი, ანუ მის სქემაში სტუდენტი საერთოდ არ არსებობს. მე მახსენდება უნივერსიტეტის ერთ-ერთი ცნობილი პროფესორის გამონათქვამი, არდადეგების პერიოდში უნივერსიტეტში რომ შევიდა, წამოიძახა: დედა, რა კარგია ეს უნივერსიტეტი სტუდენტების გარეშე! ნებისმიერი კონცეფციის დაწერის დროს უნდა იცოდე, რომ უნივერსიტეტი წარმოდგენილია ორი სუბიექტის – სტუდენტისა და პროფესორის – გარეშე. პირდაპირ ვაცხადებ: რაც გააკეთა ლომაიამ, შეიძლება შებრუნებული მეთოდით, ისეთივე „წარმატებით“ დააგვირგვინოს ვია დვალმა.

– ჩემთვის დღემდე გაუგებარი რჩება რა მოეწონა ბიძინა ივანიშვილს დვალის კონცეფციაში?

– ვერ გეტყვი, ბატონ ივანიშვილს ეპისტოლარულ ჟანრში ძალიან თბილი მიმოწერა ჰქონდა „ფეისბუქის“ საშუალებით ვინაა დვალთან. პრემიერ-მინისტრი ამბობდა, არავითარი ნორმატიული აქტი არ უნდა დამეწერა, რა საჭიროა ბიუროკრატია, როდესაც ჩვენ ძალიან კარგი მეგობრები ვართო? ეს ჩემთვის გაუგებარია, მაგრამ ამით ხალხს უთხრა, ბიუროკრატია პროცედურები არ მჭირდებაო. არადა, მსგავსი პროცედურა თანამედროვე სახელმწიფოს, როგორც ასეთის, განუყოფელი ნაწილია. მსოფლიოში არ არსებობს სახელმწიფო, სადაც ბიუროკრატია არ არსებობს. იქაც კი, სადაც მონარქიული სისტემებია შენარჩუნებული, აღარ მოქმედებენ სიტყვიერი ბრძანებებით.

– ვინ არის ის პიროვნება, რომელსაც არ უნდა ემუშავა დვალის ე.წ. კომისიაში?

– ეს არის დავით ლორთქიფანიძე, ხელოვნების მუზეუმის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. ეს ის კაცია, რომელიც გვერდით ედგა ლომიას და თავს წარმოადგენდა ლომიას იდეოლოგიის მხარდამჭერად. შეიძლება ადამიანი ერთდროულად ორ ცხენზე იჯდე? ჯერ „ნაციონალებში“ იყო და მათ იდეოლოგიას ატარებდნენ, შემდეგ „ქართულ ოცნებაში“ აღმოჩნდნენ? აღარაფერს ვამბობ მორალურ მხარეზე, როდესაც მან 2011 წლის 26 მაისს „რესპუბლიკის მოედანზე“ ჩამოიკიდა სააკაშვილის მიერ გადაცემული ორდენი...

– ამასწინათ, რუსთაველის სახელობის პრემია ჩამოურიგა სააკაშვილმა კულტურის მუშაკებს. აღმოჩნდა, რომ პრემიების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის – მიხეილ სააკაშვილის მოადგილეები არიან: განათლების მინისტრი გიორგი მარგველაშვილი, მისი მოადგილე – დავით ზურაბიშვილი და კულტურის მინისტრის მოადგილე – მანანა ბერიკაშვილი. ასეთი რამ, მხოლოდ საქართველოში ხდება.

– ეტყობა ხდება. ჩვენ ვიცით, როგორ დაიდგარა 26 მაისს უდანაშაულო ადამიანთა სისხლი, ამის შემდეგ წყლის ჭავლით ეს ყველაფერი გადარეცხეს და რამდენიმე საათში ჩაატარეს აღლუმი, სადაც დავით ლორთქიფანიძეს და ნაციონალების სხვა მხარდამჭერებს პრეზიდენტმა ორდენები გადასცა. ამ ადამიანს არ შერცხვა, ჯერ ეს ორდენი ჩამოიკიდა და დღეს არის ვინაა დვალის კომისიის

წვერი. ახლა გამაგებინოს ლოთქიფანიძემ, შინაარსობრივად ვისი მომხრეა, ლომაიასი თუ დვალის? მოდით, ერთ რამესაც მივაქციოთ ყურადღება, ხშირად ვისმენ, რომ თურმე განათლების სისტემა დაუნგრევია დიმიტრი შაშკინს და მთავრობის სახელით მხოლოდ მისი კრიტიკა მიდის, მაგრამ რატომღაც არავინ ახსენებს ლომაიას, რა ხდება, ესენი ლომაიას საქმის გამგრძელებლები არიან?

– არ გიფიქრიათ, რატომ?

– მართალია, დვალის კომისის წინადადებები მეორე უკიდურესობაშია გადავარდნილი, მაგრამ თვისებრივად, მეორე მაინც პირველის გაგრძელებაა...

– თქვენ მიზეზი მხოლოდ ეგ გგონიათ? ხომ ვერ მეტყვიით, ალექსანდრე ლომაიას ძმა სად არის?

– არ ვიცი, ნამდვილად ვერ გეტყვიით...

– ჩემი ინფორმაციით, ლომაიას ძმა „ქართულ ოცნებას“ ემსახურება.

– ეგ არ მიკვირს, როგორც ვიცი, მიხეილ მაჭავარიანის ძმაც ბიძინა ივანიშვილს თანაუგრძნობს. ჩვენ გვახსოვს, ისტორიაში ხშირად იყო შემთხვევები, როცა მამა-შვილს შორის იყო დაპირისპირება, ან დედმამიშვილებს შორის, აღარაფერს ვამბობ ნათელ-მირონობაზე, ამან ხომ საერთოდ დაკარგა ფასი, ქართველ პოლიტიკოსთა შორის. ჩემთვის არ არის საინტერესო, სად არის ლომაიას ძმა, უბრალოდ, ვფიქრობ, რატომ არ ახსენებენ იმ ადამიანს, რომელმაც განათლების სისტემა დააქცია? შაშკინის გარდა, იქ ხომ კიდევ იყვნენ სხვა მინისტრები, მაგალითად, ნიკა გვარამია და გია ნოდია? შაშკინმა ბევრი ბოროტება გააკეთა, მაგრამ მან ხომ ლომაიას საქმე გააგრძელა!

– ბატონო ლადო, ჩვენ ხომ გვეუბნებიან, რომ გია დვალი არის ყოველად განათლებული და მეტიც – გენიოსი. სტუდენტის როლი როგორ გამორჩა თავის კონცეფციაში?

– ასე ნუ ვიტყვიით, ადამიანს ღირსებას ნუ შეგუვლახავთ.

– ნამდვილად არ ვუვლახავ ღირსებას, რასაც მეუბნებიან, იმას ვლავარაკობ...

– მე ვიცი, რომ ის არის ცნობილი ფიზიკოსი, ნიჭიერი ადამიანი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, მან ყველაფერი იცოდეს. არის რაღაც საკითხები, სადაც მარტო ცნობილი მეცნიერობა არ კმარა. ამ ქვეყანას საზოგადო მოღვაწეები სჭირდება... იყო დრო, როდესაც აქ ყველაფერი ინგრეოდა და ყოფნა-არყოფნის საკითხი

დგებოდა... ძალიან კარგი, თუ შენ ამ დროს იყავი საზღვარგარეთ და სამეცნიერო შრომით კარგ ხელფასს იღებდი, მაგრამ ის ხალხი, რომელიც სააკაშვილის რეჟიმს, ანუ დიდ ბოროტებას დაუპირისპირდა, საკუთარი მომავალი საფრთხეში დააყენა, არ შეიძლება მათი იგნორირება. უფრო გასაგებად ვიტყვი: არ შეიძლება, მედროვე ადამიანები გვერდით დაიყენო, ამ შემთხვევაში ისევ დავით ლორთქიფანიძის თემას ვუბრუნდები... ეს ძალიან ოდიოზური ფიგურაა, ხშირად მეუბნებიან, თავი დაანებო, ვერ დავანებებ, სანამ ეს კაცი თვითონ არ მიხვდება, სად არის მისი ადგილი. არ ვამბობ, მოხსენით მუზეუმის დირექტორობიდან-მეთქი, ეს არ არის ჩემი კომპეტენცია, მაგრამ ადამიანი თვითონ ხომ უნდა ხვდებოდეს, რისი მორალური უფლება აქვს და რისი არა?

– ბატონო ლადო, შეიძლება ვცდები, მაგრამ მაინც ვიტყვი, – ადამიანებს, რომლებიც უცხოეთში იყვნენ გალაღებულები და ერთხელაც არ ამოუღიათ ხმა სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ, არა აქვთ უფლება, ახლა აქვთ გვარიგონ ჭკუაზე და გვიწერონ კონცეფციები.

– მოდით, პატივი ვცეთ იმ ადამიანებს, რომლებიც მართლა მუშაობდნენ.

– კი მაგრამ, ხომ შეიძლებოდა მათ ერთი განცხადება მაინც გაეკეთებინათ?

– კი, შეიძლებოდა... დავუბრუნდეთ თემას: რაც მთავარია, დვალის კონცეფციაში საერთოდ არ არის განხილული ორი საკითხი: პირველი – უნივერსიტეტების იურიდიული სტატუსი და მეორე – ფინანსური საკითხი. რასაც ეს ადამიანი გვთავაზობს, არის საკმაოდ ძვირი მოდელი. ის კარგად არის აპრობირებული ამერიკაში, მაგრამ ამერიკული საგანმანათლებლო სისტემის გადმოტანა საქართველოში, პრაქტიკულად შეუძლებელია. დამისახელებთ, რამდენი მეცენატი ვიცით ივანიშვილის გარდა, რომელიც კულტურას და განათლებას ეხმარება? მე ასეთი, სამწუხაროდ, მახსენდება.

– მე ვიცი ისეთი „მეცენატები“, რომლებსაც სააკაშვილის ოჯახში მიჰქონდათ ფული.

– ეგ არ არის მეცენატობა, ეგენი ბეგარას იმისთვის იხდიდნენ, რომ ხელშეუხებლობის გარანტია ჰქონოდათ. რაც შეეხება სამართლებრივ სტატუსს, ამაზე დღეს ბევრს საუბრობენ... ბოლოსდაბოლოს, როგორი სტატუსი უნდა ჰქონდეს უნივერსიტეტს, უნდა იყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი თუ

არამომგებიანი, არაკომერციული ორგანიზაცია? რა თქმა უნდა, უნივერსიტეტისთვის უკეთესია, იყოს არამომგებიანი და არაკომერციული... ეს მას აძლევს ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, მაგრამ ისიც ვთქვათ, ეს ყველაფერი როგორ იქნა გამოყენებული „ნაციონალების“ ხელში? სანამ ისინი უნივერსიტეტებს ამ მოდელზე გადაიყვანდნენ ჯერ სამსახურიდან გაყარეს დამოუკიდებელი აზრის საჯაროდ გამომხატველი პროფესორები, დარჩენილებიდან კი შექმნეს აკადემიური საბჭოები „ნაციონალებისადმი“ ერთგულების გათვალისწინებით. შემდეგ რექტორებად აკადემიური საბჭოებს აარჩევინეს ასევე თავიანთთან დაახლოებული პირები და ბოლოს, ამ ხალხის ხელში მყოფ უნივერსიტეტებს სამართლებრივად განუმტკიცეს დამოუკიდებლობა. დღეს საქართველოში არსებობს ერთი უმაღლესი სასწავლებელი, რომელსაც ილიას ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტი უნდა ეთქვას, მაგრამ, რატომღაც ილიას უნივერსიტეტს ეძახიან და მეტიც, ბოლოს დაარქვეს „ილიაუნი“, რაც ძალიან შეურაცხყოფელია ქართველი ხალხისთვის. მოდით, ახლა ავხსნათ, რა გაკეთდა ამ უნივერსიტეტში? ხელმძღვანელმა პირებმა შექმნეს არამომგებიანი, არაკომერციული სტატუსის მქონე არასამთავრობო ორგანიზაცია და შემდეგ პრემიერ მინისტრმა გილაურმა ეს არასამთავრობო ორგანიზაცია, სახელმწიფოსთან ერთად, აქცია ხსენებული უნივერსიტეტის დამფუძნებლად და გაიყვანა 50%-იან წილში. ეს კი ფარული პრივატიზაციაა!

– ესე იგი დღეს ამ უნივერსიტეტის 50 პროცენტი კერძო პირების ხელშია?

– რა თქმა უნდა, კერძოა და მას ფლობენ უნივერსიტეტის ხელმძღვანელები, გიგი თევზაძის მეთაურობით. ამ შემთხვევაში პასუხი უნდა მოეთხოვოს ნიკა გილაურს, რა პრინციპით შეარჩია უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიერ დაარსებული ორგანიზაცია? იქ თევზაძის გარდა არის სერგო რატიანიც, დღეს პარლამენტში რომ ზის. ჯერ ერთი, ვერ გავიგე, რატომ უნდა იყოს არასამთავრობო ორგანიზაცია სახელმწიფო უნივერსიტეტის დამფუძნებელი? ახლა გამოდიან „ნაციონალები“ და იძახიან ჩვენი უნივერსიტეტის ავტონომიას ზღუდავენო. სახელმწიფოს ზედამხედველობა რომ ყოფილიყო უნივერსიტეტებზე, წინა ხელისუფლების პერიოდში, გამოიგონეს რეგენტთა საბჭოები, სადაც შედიოდნენ მინისტრების მოადგილეები. ამ გაზაფხულზე სტუდენტებმა მიმიწვიეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სადისკუსიო კლუბში. ერთ-ერთი ლექციის დამთავრების შემდეგ ჩემთან მოვიდა სტუდენტი და მითხრა: ბატონო ლადო, ვიცით, რომ ფინანსთა მინისტრთან ახლოს ხართ, რომელიც რეგენტთა საბჭოს წევრია, და იქნებ დაგვეხმაროთ, რომ სასაბუღალტრო გაგვიხსნანო. მე არ ვმალავ, რომ ნოდარ ხაღურის ჩემი მოწაფე იყო და ვამაყობ ამით, მაგრამ თუ სტუდენტებს უნდათ უნივერსიტეტში ჰქონდეთ სასაბუღალტრო, ამას რეგენტთა საბჭო რატომ უნდა ამტკიცებდეს, ეს ხომ თავისთავად სასაბუღალტროა? მე სასწრაფოდ დაგუკავშირდი ხაღურს, მან მითხრა, – ეს საკითხი ჩემს მოადგილეს – გოგიტა თაბუაშვილს ეხებაო. გოგიტაც ჩემი მოწაფე იყო და ვთხოვე, ეს საქმე მოეგვარებინა. ეს აბსოლუტური მარაზშია, შეიძლება სტუდენტს ჭამა უნდოდეს უნივერსიტეტში და ამის უფლებას მთავრობის წევრი იძლეოდეს?

- ბოლო-ბოლო მოაგვარეთ ეს საკითხი?
- არ ვიცი, ალბათ, მოვაგვარე... სტუდენტებს აღარაფერი უთქვამთ.
- ისე, ხანდახან უნდა გადაამოწმოთ ხოლმე როგორ იქცევიან თქვენი მოწაფეები...

– (იცინის) ასეთი უბრალო საკითხები მინისტრების გადასაწყვეტი არ უნდა იყოს, სწორედ ამას ვამბობ, მოდელი, რომელიც დღეს გვაქვს, ანომალიურია. იმისათვის, რომ უნივერსიტეტებში წესრიგი აღსდგეს, ჩემი აზრით, ყველა სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელში უნდა აღდგეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი. ისეთი დარღვევები, როგორც ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტში აღმოჩნდა, არ არის გამორიცხული სხვაგანაც იყოს, ამ სფეროში სრული წესრიგია დასამყარებელი.

– მე ზვიად გამსახურდიას პერიოდიდან მესმის, რომ უნივერსიტეტებს უნდა მიეცეთ ავტონომიური სტატუსი, მაგრამ დღემდე ეს საკითხი ღიად რჩება. ყველა ხელისუფლებამ ეს თემა სათავისოდ გამოიყენა.

– რას ჰქვია ავტონომიის მიცემა ან არ მიცემა? კანონში, ანუ სუფთა ფურცელზე რაც გინდა ის დაწერე, თუ პოლიტიკური ნება არ არსებობს, ნებისმიერი სტატუსის პირობებში ხელისუფლება გაატარებს თავის ინტერესებს. დღეს ქაღალდზე არსად არ წერია, რომ უშიშროების საბჭო, პრეზიდენტი, ან პრემიერ-მინისტრი და პროკურატურა უნდა ჩაერიონ სასამართლოს საქმიანობაში. მაგრამ ჩარევა ხომ ხდებოდა? ასე იმიტომ ხდებოდა, რომ პოლიტიკური ნება არ

არსებობდა. ზუსტად იგივე ხდება უნივერსიტეტებთან დაკავშირებითაც, მთავრობამ მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბოს პოზიცია, რომ არ ერევა უნივერსიტეტების საქმეში, მაგრამ იტოვებს იმის უფლება, რომ სახელმწიფო აუდიტმა პერიოდულად შეამოწმოს უნივერსიტეტის ფინანსური საქმიანობა, ხოლო განატლების სამინისტრომ კი სწავლებისათვის აუცილებელი პირობების არსებობა. წესით, უმაღლეს სასწავლებლებში პროფესურა უნდა კონკურსის გზით აიყვანოს სპეციალურად შექმნილმა კომპეტენტურმა კომისიამ, შემდეგ ამ პროფესურამ უნდა შექმნას აკადემიური საბჭო, რომელიც აირჩევს რექტორს და ეს იქნება საჯარო. ჩვენ არ უნდა ვიხელმძღვანელოთ იმით, თუ რა უნდოდა გუშინ „ნაციონალურ მოძრაობას“ და რა უნდა დღეს „ქართულ ოცნებას“. მაგალითად მე, პარლამენტის გამარჯვებულ მივიჩნევ, რომ მათ დაძლიეს პრეზიდენტის ვეტო და საბოლოოდ მიიღეს გადაწყვეტილება რომ უნივერსიტეტებს მიანიჭონ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი. კარგი გამოსვლები ჰქონდათ აკადემიკოს ვანო კიღურაძეს, ნუკრი ქანთარიას და ნინო გოგუაძეს. სამწუხაროდ, „რესპუბლიკელებიდან“ არავინ გამოსულა ამ დებატებში, რატომღაც, თავი შეიკავეს...

– „ნაციონალების“ გამოსვლებში აუგად მოიხსენიეს აკადემიკოსი როინ მეტრეველი. ამაზე რას გვეტყვი?

– ვეტოს დაძლევის საკითხის განხილვისას „ნაციონალებმა“ პიროვნული შეურაცხყოფა მიაყენეს აკადემიკოს როინ მეტრეველს. ეს ადამიანი იმ დროს პარლამენტში არ იმყოფებოდა და სამწუხაროა, რომ არავის პასუხი არ გაუცია „ნაციონალებისთვის“. თურმე „ქართული ოცნება“ აბრუნებს კოლექტიურ როინ მეტრეველს უმაღლეს სასწავლებელში. ჯერ ერთი, არსებობს უდანაშაულობის პრეზუმპცია, რატომღაც არ მასხენდება „ნაციონალურ მოძრაობას“ როინ მეტრეველი ან დაეჭირა (ეს მაშინ, როცა სულაც არ უჭირდათ თუნდაც უდანაშაულო ხალხის დაჭერა), ან რამე პრეტენზიები ჰქონდა მასთან.

– თუმცა თეა თუთბერიძის ხელით რაღაცას ხლართავდნენ როინ მეტრეველის წინააღმდეგ.

– თეა თუთბერიძე იმდენს ლაპარაკობს და იმდენ ადამიანს აყენებს შეურაცხყოფას, საერთოდ აღარ ვაქცევ ყურადღებას. მე არავის ადვოკატი არ ვარ,

მაგრამ „ნაციონალურ მოძრაობას“ ე.წ. დამნაშავეების დაჭერა არ დასჭირვებია არასოდეს, თუ ვინმეზე შავი პიარის აგორება უნდოდათ, ამასაც მშვენივრად ახერხებდნენ. მე, როგორც იმ დროს უნივერსიტეტის დიდი საბჭოს წევრს, მახსოვს, როგორ დაწერა როინ მეტრეველმა განცხადება და გადადგა რექტორობიდან, როგორ მივიდა ამ სხდომაზე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, როგორ შეაქო როინ მეტრეველი და როგორ დანიშნა რექტორად ქალბატონი რუსუდან ლორთქიფანიძე, რომელიც უნივერსიტეტისათვის აბსოლუტურად არაადეკვატური იყო. სწორედ ამ ადამიანით დაიწყო უნივერსიტეტის ნგრევა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტს, დამოუკიდებელობა აღდგენილ საქართველოში მხოლოდ როინ მეტრეველის რექტორობისას და ედუარდ შევარ ნაძის პრეზიდენტობისას ჰქონდა რეალური ავტონომია. „ნაციონალებს“ ვურჩევ, უკან მიიხედონ და კარგად გაანალიზონ ყველაფერი, ხოლო ახალ ხელისუფლებას კი ესაჭიროება ქმედითი ნაბიჯების გადადგმა უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სისტემის განსავითარებლად.

გელა ზედელაშვილი